KA030118136201918

№ 01-1518 **24 / იანვარი / 2018 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ ზაზა სოფრომაძეს

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებლის ნატო დოლიძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ზაზა,

მოგახსენებთ, რომ 2018 წლის 30-31 იანვარს ბელარუსის რესპუბლიკაში, ქ. მინსკში ტარდება საქართველო-ბელარუსის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-4 სხდომა.

სხდომაში მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს სამთავრობო უწყებების ხელმძღვანელები. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან აღნიშნული კომისიის სხდომაში მონაწილეობის მიზნით წარდგენილი ბრძანდებით თქვენ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის ბესიკ დათუკიშვილი.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ორმხრივი შეხვედრა ბელარუსის რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილესთან ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების თაობაზე ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვის მიზნით. ასევე, დაგეგმილია ფარმაცევტული პროდუქტის მწარმოებელი კომპანიების მონახულება.

ვინაიდან, ავია-ბილეთის მიხედვით ბელარუსში თქვენი ჩასვლა დაგეგმილია 30 იანვარს, 05:45 საათზე, ხოლო თბილისში გამომგზავრება - 2 თებერვალს, 22:45 საათზე, დამატებით ასანაზღაურებელია სასტუმროს ერთი ღამის ღირებულება, სასტუმროში ადრე შესვლისა და გვიან გამოსვლის გათვალისწინებით.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ თქვენთვის შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას მიმდინარე წლის 30 იანვრიდან 3 თებერვლის ჩათვლით, ხოლო მგზავრობის, სასტუმროს 5 ღამის ღირებულების, დღიური ნორმისა და დღიურ ნორმაზე დანამატის ანაზღაურებას, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უზრუნველყოფს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

ნ. დოლიძე

ნატო დოლიძე